საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 22 თებერვლის
დადგენილება № 408

აკადემიური საბჭოს რეგლამენტში

ცვლილებების და დამატებების შეტანის

შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

მოწონებულ და მიღებულ იქნეს აკადემიური საბჭოს რეგლამენტში წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები. კერძოდ:

თავი II, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა. პარაგრაფი 12 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორ-ორი წარმომადგენელი.“

თავი V, აკადემიური საბჭოს კომისიები.
მუხლი 22 ამოღებულ იქნეს.

თავი VI, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად საკითხის რეგისტრაციის, მომზადებისა და შეტანის წესები.

მუხლი 24 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განაცხადი აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ დადგენილების პროექტთან ერთად, როგორც წესი, აკადემიურ საბჭოს სამდივნოში უნდა შევიდეს უახლოეს სხდომამდე არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღით ადრე წერილობითი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი განხილვა საბჭოს უახლოეს სხდომაზე არ შედგება“.

თავი VI, მუხლი 26 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ განსახილველად მიღებული განაცხადი აკადემიური საბჭოს მდივანს, საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შეაქვს სხდომის დღის წესრიგში, ან გადასცემს აკადემიური საბჭოს შესაბამის კომისიას, საბჭოს ერთ ან რამდენიმე წევრს, ან შესაბამის სამსახურს საკითხის საბჭოს სხდომაზე განსახილველად მომზადების მიზნით, რის შესახებაც მინიმუმ ერთი დღით ადრე უნდა ეცნობოს განმცხადებელს“.

თავი VI, მუხლი 27 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ აკადემიური საბჭოს წევრებს, სხდომის ჩატარებამდე მინიმუმ ორი დღით ადრე, წინასწარი გაცნობის მიზნით დაეგზავნებათ საბჭოს დღის წესრიგი და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე გასახილველი საკითხების ელექტროვერსია“.

თავი VI მუხლი 28 ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„კომისიამ, საბჭოს წევრმა (წევრებმა), ან შესაბამისმა სამსახურმა,რომელსაც დაევალა საკითხის შესწავლა და მომზადება, დასკვნა უნდა მოამზადოს წერილობით, რომელიც განხილვამდე დაეგზავნება საბჭოს წევრებს“

თავი VI, დაემატოს ახალი მუხლი–29[1] შემდეგი რედაქციით:

„აკადემიური საბჭოს სხდომისათვის განსახილველად გამოტანილ საკითხზე პასუხისმგებლობა აკადემიური საბჭოს წინაშე ეკისრება კომისიას, საბჭოს წევრს, ან შესაბამის სამსახურს“.

თავი VIII. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი.

მუხლი 35 ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ორჯერ, ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირის ოთხშაბათს, 16 საათზე.“

თავი VIII, დაემატოს მუხლი 39[1] შემდეგი რედაქციით:

„სხდომის დღის წესრიგის მიხედვით მოწვეულ პირთა აკადემიური საბჭოს სხდომაზე დასწრება ხდება მხოლოდ მათი საკითხის განხილვის დროს“.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**